

2020 წლის 22 აპრილს ლაიპციგის ადმინისტრაციულმა სასამართლომ (Verwaltungsgericht Leipzig) მიიღო გადაწყვეტილება:

ერთი მაცხოვრებელი, ერთ-ერთი პირველადი ჩაბარების დაწესებულებისა იქნას გადაყვანილი აღნიშნული საცხოვრებელიდან. პიროვნებამ ჩათვალა, რომ მას არ აქვს შესაბამისი პირობები რათა დაიცვას თავი კორონა ვირუსისგან, ამისათვის შეიტანა სარჩელი საქსონიის წინააღმდეგ. მან Eilantrag - ით(დაჩქარებული წესით განხილვა) მიმართა სასამართლოს. სასამართლომ გაამართლა იგი.

ასევე დრეზდენის ადმინისტრაციული სასამართლო ასე უყურებს ამ საკითხს, მან 2 ქალბატონი გაამართლა. მიზეზი დადებითი გადაწყვეტილების, კორონა ვირუსით დაინფიცირების მაღალი რისკია. ზემოთ აღნიშნულმა სასამართლოებმა გადაწყვიტეს, რომ მომჩივანი ადამიანები უნდა იქნებ ბინებში გადაყვანილი და ისე, რომ იყოს დისტანციის დაცვა შესაძლებელი.

თავშესაფრის კანონში წერია: როდესაც ადამიანები ჩამოდიან გერმანიაში და თავშესაფარს ითხოვენ, ისინი ვალდებული არიან პირველადი ჩაბარების დაწესებულებაში იცხოვრონ.

მაგრამ ამავე კანონში წერია, რომ ეს ვალდებულება შეიძლება გადაიხადოს, გადახედვისკენ მიზეზად შეიძლება მიიჩნიოს, ჯანმრთელობის პრობლემა ანდა ინფიცირების თავიდან აცილება.

სასამართლო დადებითი გადაწყვეტილების დასაბუთებაა:

× ხელის შეშლა კორონას გავრცელების

× ადამიანის (მომჩივანის) დაცვა დაინფიცირებისგან.

პირველადი ჩაბარების დაწესებულებაში ბევრი ადამიანი ცხოვრობს ერთ სივრცეში, მაცხოვრებლები სარგებლობენ, საერთო ოთახით, საპირფარეშოთი, სამზარეულოთი და ა.შ. ამიტომ შეუძლებელია კორონა რეგულაციით დადგენილი 1,5 მეტრი შუალედის დაცვა.

საქსონიის მიწაზე, 17.04.2020-დან მოქმედებს კორონასგანდაცვის ინსტრუქციები, რის თანახმადაც, კონტაქტი სხვა ადამიანებთან უნდა იქნეს შემცირებული. მინიმალური შუალედი განისაზღვრება 1, 5 მეტრით, გარდა ოჯახის წევრებისა. ეს რეგულაცია ძალაშია ყველა საცხოვრებელსა თუ დაწესებულებაში. ადმინისტრაციული სასამართლოს აზრით, ასევე პირველადი ჩაბარების დაწესებულებაში. ლაიპციგის ადმინისტრაციულმა სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავშესაფრის მაძიებელთა საცხოვრებლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კორონას გავრცელების შეფერხება.

Robert-koch-Institut -ის აზრით, ადამიანებს რომელთაც ფიზიკური ან სულიერი დატვირთვა აქვთ ანდა რამე ახალზე ორიენტირები უწევთ, იმყოფებიან დაინფიცირების მაღალი რისკის ქვეშ.

საქსონიის მიწაზე Landesdirektion - ია პასუხისმგებელი თავშესაფრის მაძიებელთა განაწილება დასახლებაზე. ისინი ვალდებული არიან გადაიყვანონ ის ადამიანები საერთო საცხოვრებელიდან ვისი Eilantrag -იც დაკმაყოფილებული იქნება სასამართლოს მიერ.

ვინც დიდ საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს, ყველას შეუძლია Eilantrag- ის დაწერა. იგივე არის სხვა მიწებზეც შესაძლებელი, რადგან კორონა რეგულაციები და საერთოდ საცხოვრებლებში სიტუაცია თითქმის ერთნაირია.

რა არის გასათვლისწინებელი:

× ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაშია იქამდე, სანამ კორონა ვირუსის საშიშროება არსებობს.

× Eilantrag დაკმაყოფილდება იმ შემთხვევაში, თუ თქვენ წარსულში უკვე მიგიმართავთ შესაბამის ორგანოსთვის გადაყვანის თაობაზე.

× განაცხადი გადაყვანაზე არ არის ყველასათვის სასურველი გამოსავალი. ისინი ვინც ერთი ოჯახი არ არის მაგრამ ერთად ცხოვრობენ, შესაძლებელია გადაყვანის შემთხვევაში დააშორონ ისინი ერთმანეთს.

× განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევაში, არ შეგვიძლია ვიცოდეთ სად გადაგვიყვანენ, რომელ ქალაქში ან რაიონში, ბინაში თუ შედარებით პატარა საერთო საცხოვრებელში. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ადგილი მიუთითოთ და იმედი იქონიოთ რომ გაითვალისწინებენ. სასურველია რაიმე მიზეზი მიუთითოთ, რატომ გინდათ ამა თუ იმ ადგილას ცხოვრება. მაგალითად, რომ გაქვთ სამედიცინო პროცედურები დაწყებული და არ შეიძლება შეწყვეტა.

× განაცხადი დაკმაყოფილდება სავარაუდოთ 35 წელს გადაცილებულ პირებზე, თუ არ არის რამე ავადმყოფობა სახეზე.

მინდა Eilantrag - ით მივმართო სასამართლოს. ამისათვის საჭიროა :

1. Eilantrag auf dezentrale Unterbringung. (არსებობს სპეციალური ფორმულა)

2. საბუთის ასლი, ორივე გვერდის.

3. აღწერა თქვენი საცხოვრებელი სიტუაციის:

- რამხელაა ოთახი სადაც ცხოვრობთ
- რამდენი ადამიანი ცხოვრობს ოთახში
- რამდენი საპირფარეშო და აბანოა რამდენი ადამიანისთვის განკუთვნილი
- რამდენი ადამიანი იყენებს სამზარეულოს
- არის თუ არა ყოველთვის სალონის და სადუზინფექციო საშუალება ხელმისაწვდომი

4. თუ გაქვთ რაიმე დამატებითი პირადი მიზეზი

თუ გსურთ განაცხადის გაკეთება პროცესის ღირებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გჭირდებათ:

× Antrag auf Prozesskostenhilfe (არსებობს ფორმულა)

× AsylbLG-Bescheid (თუ არ გაქვთ, მოვითხოვეთ თქვენს საცხოვრებელში.)